

შპს „ელმა 2008“

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.19წ	31.12.2018წ	31.12.2017წ
აქტივები				
ფულადი სახსრები	3	965 348	2 211 592	915 122
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4	6 083 889	5 580 763	4 712 850
სავაჭრო მოთხოვნები	5	984 273	955 908	1 167 834
გადახდილი ავანსები	6	1 425 640	1 075 162	1 503 076
ძირითადი საშუალებები	7	5 681 241	3 722 165	2 558 981
არამატერიალური აქტივები	8	33563	38274	2498
სულ აქტივები:		15 173 954	13 583 864	10 860 361
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	466 139	309 500	375 489
მიღებული ავანსები		73250	48118	34929
მოკლევადიანი სესხები	10	-	-	267 000
საგადასახადო ვალდებულებები	11	-	88339	97914
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	220	220	220
გაუნაწილებელი მოგება	12	14 634 345	13 137 687	10 084 809
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		15 173 954	13 583 864	10 860 361

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

6-17 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.19წ	31.12.2018წ	31.12.2017წ
აქტივები				
ფულადი სახსრები	3	965 348	2 211 592	915 122
სასაქონლო მატერიალური მარაგები	4	6 083 889	5 580 763	4 712 850
სავაჭრო მოთხოვნები	5	984 273	955 908	1 167 834
გადახდილი ავანსები	6	1 425 640	1 075 162	1 503 076
ძირითადი საშუალებები	7	5 681 241	3 722 165	2 558 981
არამატერიალური აქტივები	8	33563	38274	2498
სულ აქტივები:		15 173 954	13 583 864	10 860 361
ვალდებულებები და კაპიტალი				
ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	466 139	309 500	375 489
მიღებული ავანსები		73250	48118	34929
მოკლევადიანი სესხები	10	-	-	267 000
საგადასახადო ვალდებულებები	11	-	88339	97914
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	220	220	220
გაუნაწილებელი მოგება	12	14 634 345	13 137 687	10 084 809
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:		15 173 954	13 583 864	10 860 361

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება სტრუქტურული მხარის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:




/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:



/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან		20 441 963	16 772 968
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(15 418 878)	(12 778 286)
საერთო მოგება	13	5 023 085	3 994 682
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1 043 447)	(1 020 320)
საოპერაციო მოგება		3 979 638	2 974 362
არასაოპერაციო შემოსავალი	15	53588	108 283
არასაოპერაციო ხარჯი	16	(5429)	(35200)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	17	47	5433
მოგება გადასახადით დაბეგრამდე		4 027 844	3 052 878
მოგების გადასახადი	18	(386)	-
წლის მოგება		4 027 458	3 052 878
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4 027 458	3 052 878

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

6-17 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019 წელი	2018 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან		20 441 963	16 772 968
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(15 418 878)	(12 778 286)
საერთო მოგება	13	5 023 085	3 994 682
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	14	(1 043 447)	(1 020 320)
საოპერაციო მოგება		3 979 638	2 974 362
არასაოპერაციო შემოსავალი	15	53588	108 283
არასაოპერაციო ხარჯი	16	(5429)	(35200)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი	17	47	5433
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		4 027 844	3 052 878
მოგების გადასახადი	18	(386)	-
წლის მოგება		4 027 458	3 052 878
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		4 027 458	3 052 878

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:



გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:



/ნონა პაპოშვილი/

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	12	220	10 084 809	10 085 029
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-
წლის წმინდა მოგება	12		3 052 878	3 052 878
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	12	220	13 137 687	13 137 907
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-
წლის წმინდა მოგება	12		4 027 458	4 027 458
გადახდილი დივიდენდი		-	(2 530 800)	(2 530 800)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	12	220	14 634 345	14 634 565

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:

/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:

/ნონა პაპოშვილი/

6-17 გვერდზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "ელმა 2008"

ფინანსური ანგარიშგება 2019 წ 31 დეკემბრს დასრულებული წლისთვის.

გაანგარიშების ერთეული : ქართული ლარი

✓ კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	12	220	10 084 809	10 085 029
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-
წლის წმინდა მოგება	12		3 052 878	3 052 878
გადახდილი დივიდენდი		-	-	-
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	12	220	13 137 687	13 137 907
კაპიტალის ზრდა/შემცირება		-	-	-
წლის წმინდა მოგება	12		4 027 458	4 027 458
გადახდილი დივიდენდი		-	(2 530 800)	(2 530 800)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	12	220	14 634 345	14 634 565

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2019 წლის 21 სექტემბერს.

დირექტორი:



/გიორგი რუხაძე/

მთ. ბუღალტერი:



/ნონა პაპოშვილი/

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ელმა 2008 (შემდგომში "კომპანია") არის 2008 წლის 18 აპრილიდან საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი ისანი სამგორის რაიონი, ვარკეთილი 3, 3 მკრ /რკორ 341, ბ, 48. მისი საინდენტიფიკაციო კოდი: 206328918.

კომპანია ფლობს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორ ობიექტს. მისი ძირითადი საქმიანობაა სამშენებლო მოსაპირკეთებელი პროდუქციის რეალიზაცია. კომპანია აწარმოებს პროდუქციას. საწარმოო პროცესი ხორციელდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისი, გურამიშვილის #158. კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია არის: "ლამინირებული იატაკის ქვეშ დასაფენი ღრუბელი". კომპანია პროდუქციას ყიდის საქართველოს ტერიტორიაზე. კომპანიის კლიენტები არიან ფიზიკური და იურიდიული პირები. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს 31.

კომპანიის წილი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განაწილებულია შემდეგნაირად: გიორგი ოდიკაძე-100%

2. სააღრიცხვო პოლიტიკა და მომზადების საფუძველი

წინამდებარე ანგარიშგება მომზადებულია, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) -ის შესაბამისად. კომპანიის აღნიშნულ სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 01.01.2018წ. სააღრიცხვო პოლიტიკა რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფასს-ის სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში-ქართული ლარი. ბუღალტრული სინთეზური აღრიცხვა ხორციელდება კომპიუტერული პროგრამა-"1ც-ბუღალტერიის" მეშვეობით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები: კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება საანგარიშგებო თარიღში, ხორციელდება ამ თარიღისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის

მიხედვით. რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

ფული და ფულის ეკვივალენტები: ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს სალაროში და საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები: მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის ან მომსახურების გაყიდვის შემთხვევაში, მოთხოვნა აღიარდება ამ საწარმოსგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით. კომპანიის მოთხოვნები ძირითადად შედგება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე მიწოდებული საქონლის ღირებულებისაგან. კომპანია მოთხოვნების გაუფასურებას ახორციელებს ქვეყანაში არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე.

გადახდილი ავანსები: გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია მოსალოდნელი გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსები ჩამოიწერება საქონლის ან მომსახურების მიღებისას. კომპანიის გადახდილ ავანსს ძირითადად წარმოადგენს საქონლის და მომსახურების მომწოდებელი კომპანიებისათვის წინასწარ გადახდილი თანხები.

ძირითადი საშუალებები: შეძენილი ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნაყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს, ტრანსპორტირების, მონტაჟის და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანის ხარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ძირითადი საშუალება აღირიცხება თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითად საშუალებაზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ როდესაც შეიძლება მისი გამოყენება, ანუ აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია იმ მდგომარეობაში რომ შესაძლებელი იყოს მისი ექსპლუატაცია. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მაშინ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება: გაყიდვის/ გასვლის შემთხვევაში, ან როდესაც მისი გამოყენებიდან და გაყიდვიდან ეკონომიური სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალება აღირიცხება ნარჩენი ღირებულებით. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალში, გარდა იმ ძირითადი საშუალების, რომელიც გამოყენებულია პროდუქციის წარმოებისთვის.

კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, ვინაიდან იგი ასახავს ამ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიური სარგებლის გამოყენების ხასიათს. ძირითადი საშუალების გამოყენების სავარაუდო ვადა:

შენობა ნაგებობა 20-50 წელი,

მანქანა დანადგარები 9-10 წელი,

სატრანსპორტო საშუალება 7-10 წელი,

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა: კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი; სავარაუდო ფიზიკური ცვეთა; ტექნიკური და ფიზიკური მოძველება.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა. უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები შემოსავალში აიღება რეალური ღირებულებით.

არამატერიალური აქტივები: არამატერიალური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. შემენილი არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს: ნასყიდობის ფასს, განბაჟების ხარჯებს, არადაბრუნებად გადასახადებს და პირდაპირ დანახარჯებს, აქტივის გამოსაყენებლად მომზადებისათვის.

არამატერიალურ აქტივებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით. სასარგებლო გამოყენების ვადა განისაზღვრება 5-10 წელით. კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივი ფასდება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

არამატერიალური აქტივის ამორტიზაცია იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი იმყოფება, სათანადო ადგილას სამუშაო მდგომარეობაში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები: სასაქონლო მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. (რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები). სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება მოიცავს: შემენასთან, ტრანსპორტირებასთან, შენახვასთან დაკავშირებულ და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

სასაქონლო მატერიალური მარაგების აღრიცხვის მეთოდია უწყვეტი. სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულების განსაზღვრის მეთოდი-საშუალო შეწონილი.

დაუმთავრებელ წარმოებაზე გახარჯული მასალები, ჩამოიწერება საწარმოს მიერ დადგენილი ნორმისა და გამოშვებული პროდუქციის მიხედვით. საწარმოო არაპირდაპირი ხარჯის განაწილებისთვის, განაწილების ბაზას წარმოადგენს გეგმიური თვითღირებულება.

ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით, აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით და აისახება სხვა სასაქონლო მარაგების ანგარიშზე. ტალონები, (ბარათები) ანგარიშვალდებულ პირზე გაიცემა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიხედვით. გახარჯული საწვავი ჩამოიწერება, ფაქტობრივი გარბენილი კილომეტრების

მიხედვით ხარჯვის ნორმების თანახმად. სხვა ტექნიკის შემთხვევაში მაგ: თვითმავალი ამწე-ნამუშევარი საათების მიხედვით.

ცალკეული მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა: მოხმარებისთვის განკუთვნილი სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების საქონელი მარაგებში არ აისახება, და შესყიდვისთანავე მიეკუთვნება საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებს. მცირეფასიანი ინვენტარი და ნივთები, (კალკულატორი, მადულარა და სხვ.) მარაგებში არ აისახება და ექსპლუატაციაში გადაცემისთანავე მიეკუთვნება შესაბამის ხარჯებს. კომპიუტერული ტექნიკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელი ნივთები და მასალები (კარტრიჯი, და სხვ) შესყიდვისთანავე მიეკუთვნება კომპიუტერის ხარჯებს. მასალები რომელიც გამოიყენება მიმდინარე რემონტისთვის, ძირითადი საშუალების შესაკეთებლად: საჭირო სათადარიგო ნაწილები, ჩამოიწერება აქტის საფუძველზე.

მოგების გადასახადი: საქართველოს კომპანიების წლიური მოგება (გარდა ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და სადაზღვევო კომპანიების) 2017 წლის 01 იანვრიდან არ იბეგრება. ამ ცვლილებამ განაპირობა რომ საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობა: გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. (სააღრიცხვო მოგებიდან გაანგარიშებულ საგადასახადო ხარჯსა და საგადასახადო დასაბეგრი მოგებიდან გამომდინარე ბიუჯეტის კუთვნილი მოგების გადასახადს შორის სხვაობა). კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზა წარმოადგენს გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას.

კაპიტალი: საზოგადოების საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შეადგენს 220 ლარს. კაპიტალის მოცულობისა და პარტნიორთა წილების ცვლილებები რეგისტრირდება, ”მეწარმეთა შესახებ ” კანონით განსაზღვრული წესით. კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. პარტნიორის გადაწყვეტილებით კომპანიიდან პერიოდულად ხდება დივიდენდების გატანა. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, ხოლო შემდგომ - ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით. მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის შეძენის შემთხვევაში, ვალდებულება უნდა აღიარდეს მომწოდებლისათვის გადასახადელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით. კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ძირითადად წარმოადგენს მომწოდებლებთან არსებულ მოკლევადიან ვალდებულებებს.

შემოსავალი: საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან

უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა. კომპანია საქონლის გაყიდვიდან მიღებული ამონაგების აღიარებას ახორციელებს მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს. შემოსავლის აღიარება ახორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელო: დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები გულისხმობს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები: კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგება ზარალში როდესაც იგი გაწეულ იქნა.

3. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება, ქართულ ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

	31.12.2019წ	31.12.2018წ	31.12.2017წ
ფული სალაროში (ლარი)	2908	213 574	117491
ეროვნული ვალუტა რეზიდ. ბანკში	115 461	98752	5841
უცხოური ვალუტა რეზიდ. ბანკში	846 979	1 899 266	791 790
სულ:	965 348	2 211 592	915 122

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივებისთვის გამოიყენებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსი: 1 აშშ დოლარი - 2,8677 ლარი, 1 ევრო - 3,2095 ლარი, 100 რუსული რუბლი - 4,6423 ლარი.

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31.12.2019წ	31.12.2018წ	31.12.2017წ
საქონელი	5 864 070	5 448 713	4 541 418
ნედლეული და მასალები	172 369	73044	113 365

მზა პროდუქცია	25983	44277	38970
სხვა მარაგები	21467	14729	19097
სულ:	6 083 889	5 580 763	4 712 850

ნედლეული და მასალები: ნედლეული და მასალები მოიცავს პროდუქციის წარმოებისთვის ყველა საჭირო მარაგებს. მზა პროდუქცია: არის კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქცია რომელიც განკუთვნილია სარეალიზაციოდ. სხვა მარაგები: სათადარიგო ნაწილები რომელიც არ აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების კრიტერიუმებს აღირიცხება სხვა მარაგების ანგარიშზე და გამოყენებისთანავე აღიარდება ხარჯად. სხვა მარაგები მოიცავს საწვავს, სხვა სახარჯ მასალებს, და ძირითადი საშუალების დემონტაჟის დროს მიღებულ აქტივს.

5. სავაჭრო მოთხოვნები

2019წ

2018წ

სავაჭრო მოთხოვნები 1 წლამდე	95129	884 775
სავაჭრო მოთხოვნები 1-3 წლამდე	867 262	71133
სავაჭრო მოთხოვნები 3 წელზე მეტი	21882	-

გასული წლების მონაცემებზე დაყრდნობით, კომპანიამ განსაზღვრა საექვო ვალის ანარიცხები (კორექტირება). საექვო ვალის აღსარიცხად გამოიყენა ანგარიში „1415- საექვო მოთხოვნების კორექტირება“ , რომელიც კონტრალურია ანგარიშისა „1410- მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“ (სავაჭრო მოთხოვნები). საექვო ვალის ანარიცხი - 25228 ლარი მთლიანად შეტანილია ხარჯებში. (საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯი). საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის 1415 ანგარიშზე კორექტირების საწყისი ნაშთიდან, (რომელიც შეადგენდა 55570 ლარს), პერიოდის განმავლობაში არ მომხდარა ვალის გადახდა. აქედან გამომდინარე, 1415 ანგარიშის კრედიტში დაგროვილმა საექვო მოთხოვნამ, (საწყისი ნაშთის გათვალისწინებით) საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის შეადგინა 80798 ლარი.

6. გადახდილი ავანსები

	31.12.2019წ	31.12.2018წ	31.12.2017წ
ადგილობრივ მომწოდ. გადახდილი ავანსები	83301	500 692	46237
წინასწარ გადახდილი გადასახადი	8590	-	3314
უცხოელ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 333 749	574 470	1 453 525
სულ	1 425 640	1 075 162	1 503 076

7. ძირითადი საშუალებები

2018წ

ძირითადი საშუალებები	ღირებულება პერიოდის დასაწყისში (01.01.2018 წ)	ღირებულება ბის ზრდა პერიოდის განმავლობაში (შემენა)	ღირებულება ბის შემცირება (გასვლა დემონტაჟი)	ღირებულება პერიოდის ბოლოს (31.12.2018 წ)	ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში (01.01.2018წ)	ამორტიზაცია პერიოდის განმავლობაში	ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს (31.12.2018)	ნარჩენი ღირებულება პერიოდის დასაწყისში (01.01.2018)	ნარჩენი ღირებულება პერიოდის ბოლოს (31.12.2018წ)
მიწის ნაკვეთები	1 979 261	55932	-	2 035 193	-	-	-	1 979 261	2 035 193
შენობა ნაგებობები	267 819	44612	17770	294 661	17772	6495	24267	250 047	270 393
მანქანა დანადგარები	244 180	28896	-	273 076	38349	27142	65492	205 832	207 585
ოფის აღჭურვილობა	24881	8399	-	33280	18637	3513	22150	6243	11130
ავტო და სხვა ინვენტარი	14684	3792	-	18476	6169	2738	8907	8515	9568
სატრანსპორტ. საშუალებები	17869	-	-	17869	10202	2486	12688	7667	5181
კეთილმოწყობა	16150	5685	-	21834	6422	1981	8403	9727	13431
გამოუყენებელი ძირით. საშუალება	4378	-	-	4378	-	-	-	4378	4378
სულ	2 569 221	147 315	17770	2 698 766	97551	44355	141 907	2 471 670	2 556 859

2019წ

ძირითადი საშუალებები	ღირებულება პერიოდის დასაწყისში (01.01.2019 წ)	ღირებულება ბის ზრდა პერიოდის განმავლობაში (შემენა)	ღირებულება ბის შემცირება (გასვლა დემონტაჟი)	ღირებულება პერიოდის ბოლოს (31.12.2019 წ)	ამორტიზაცია პერიოდის დასაწყისში (01.01.2019წ)	ამორტიზაცია პერიოდის განმავლობაში	ამორტიზაცია პერიოდის ბოლოს (31.12.2019)	ნარჩენი ღირებულება პერიოდის დასაწყისში (01.01.2019)	ნარჩენი ღირებულება პერიოდის ბოლოს (31.12.2019წ)
მიწის ნაკვეთები	2 035 193	-	-	2 035 193	-	-	-	2 035 193	2 035 193
შენობა ნაგებობები	294 661	62234	-	356 895	24267	12644	36911	270 393	319 984
მანქანა დანადგარები	273 076	-	-	273 076	65491	27781	93272	207 585	179 804
ოფის აღჭურვილობა	33280	3531	-	36811	22151	4266	26416	11130	10395
ავტო და სხვა ინვენტარი	18476	3767	-	22243	8907	3191	12098	9568	10145
სატრანსპორტ. საშუალებები	17869	48478	17402	48945	12688	4367	1518	5181	47427
კეთილმოწყობა	21834	7392	-	29226	8403	2327	10730	13431	18496
გამოუყენებელი ძირით. საშუალება	4378	-	-	4378	-	-	-	4378	4378
სულ	2 698 766	125 402	17402	2 806 767	141 907	54576	180 945	2 556 859	2 625 822

შენიშვნა: რეალიზებული სატრანსპორტო საშუალებაზე დარიცხული ჩამოწერილი ამორტიზაცია შეადგენს 15537 ლარს.

კომპანიამ, 2018 წელს, შეიძინა 1078 კვმ მიწის ნაკვეთი სს ელმავალმშენებლისგან.

2019 წელს დასრულდა გურამიშვილის 158, გამყოფი მესერის მშენებლობა და შიდა მიმოსვლის გზაზე განხორციელდა ბეტონის საფარის დაგება.

ძირითადი საშუალება, რომელიც არ არის გამოყენებული, წარმოდგენილია ძირითადი საშუალების ცხრილში, საბალანსო ღირებულებით 4378 ლარი.

2019 წელს ძირითადი საშუალებების გადაფასება არ მომხდარა.

კომპანია, თავის კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი გურამიშვილის ქ 158), აშენებს შენობას სადაც განთავსებული იქნება სასაწყობო, მაღაზიის და საოფისე ფართები. კომპანია აღნიშნულ შენობაში მომავლისთვის გეგმავს სავაჭრო ცენტრის გახსნას. მშენებლობაში გაწეული ყველა დანახარჯი ასახულია „დაუმთავრებელი მშენებლობის“ ანგარიშის დებეტში.

დაუმთავრებელი მშენებლობა

ღირებულება 01.01.2018 წ მდგომარეობით	87311
ღირებულების ზრდა 2018 წლის განმავლობაში	1 078 009
ღირებულება 31.12.2018 წ მდგომარეობით	1 165 320
ღირებულების ზრდა 2019 წლის განმავლობაში	1 890 099
ღირებულება 31.12.2019 წ მდგომარეობით	3 055 419

8. არამატერიალური აქტივები

	31.12.2019წ	31.12.2018წ	31.12.2017წ
საბუღალტრო პროგრამა	2892	1833	2498
ლიანდაგზე დაერთების სარგებლობის უფლება	30671	36441	-
სულ	33563	38274	2498

კომპანიამ მოახდინა მის კუთვნილ ტერიტორიაზე არსებული რკინიგზის ლიანდაგის აღდგენა რეაბილიტაცია. „საქართველოს რკინიგზის“ მიერ კომისიური შემოწმების და ექსპლუატაციისთვის ვარგისიანობის დადგენის შემდგომ, მოხდება სარკინიგზო მისასვლილი ლიანდაგის ექსპლუატაციის ხელშეკრულების გაფორმება. საქონლის იმპორტით შეძენის დროს ტრანსპორტირებისას კომპანია გეგმავს სარკინიგზო ტრანსპორტით სარგებლობას.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2019წ

2018წ

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 1 წლამდე	456 553	307 955
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 1 დან 3 წლამდე	9586	1545
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 3 წელზე მეტი	-	-

10. მოკლევადიანი სესხები

კომპანია სარგებლობს საკრედიტო ხაზით სს „თიბისი“ ბანკიდან, ეროვნულ ვალუტაში. საპროცენტო განაკვეთი წლიური 12,5%. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასესხო ვალდებულება კომპანიას არ გააჩნია.

11. საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულება არ გააჩნია.

12. კაპიტალი

2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საწესდებო კაპიტალი შეადგენს 220 ლარს. 2019 წელს საწყისი გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 13 137 687 ლარს, ხოლო მიმდინარე წლის მოგება 4 027 458 ლარს. 2019 წელს გაცემული დივიდენდი 2 530 800 ლარს. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგება არის 14 634 345 ლარი.

13. საერთო მოგება

2019 წ

2018 წ

საქონლის და მომსახურებით მიღებული შემოსავალი	20 441 963	16 772 968
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15 418 878	12 778 286
საერთო მოგება	5 023 085	3 994 682

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

2019 წ

2018 წ

საიჯარო ქირა	437 999	384 707
შრომის ანაზღაურება	357 320	385 080
საოფისე ინვენტარი	1517	954
კომუნიკაციის ხარჯი	701	701
დაზღვევა	285	-
ექსპლუატაციის ხარჯი	5388	6463

საპენსიო	7737	-
ცვეთა და ამორტიზაცია	34100	26923
სხვა საგადასახადო ხარჯი	33529	33483
საექვო მოთხოვნებთან დაკავშირებული თანხები	25228	55570
მივლინების ხარჯი	53117	51548
ბანკის მომსახურების საკომისიო	16174	20296
კომუნალური ხარჯი	9131	9228
რეკლამის ხარჯი	554	1419
საწვავის ხარჯი	25326	18359
სხვა საერთო ხარჯი	19142	13801
მომსახურების ანაზღაურება	16199	11788
სულ:	1 043 447	1 020 320

კომპანიას იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, აღებული აქვს სს „მაუდი“-გან სასაწყობო 4117 კვმ. ფართი. (ქ თბილისი წერეთლის 140). იჯარის ტიპი - ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარა.

15. არასაოპერაციო შემოსავალი

2019 წ

2018 წ

შემოსავალივალუტის გადაფასებიდან	47945	101 898
საპროცენტო შემოსავალი	1826	2313
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	3817	4072
სულ:	53588	108 283

16. არასაოპერაციო ხარჯი

2019 წ

2018 წ

საპროცენტო ხარჯი	123	2620
ხარჯი ვალუტის გადაფასებიდან	202	18490
ზარალი ძირითადი საშუალების გასვლით	1865	13624
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	3239	466
სულ:	5429	35200

ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნები, საანგარიშგებო პერიოდისათვის დადგენილი არ ყოფილა და ანგარიშგებაში, გაუფასურების ზარალი არ დაფიქსირებულა.

17. მოგება / (ზარალი) უცხოური ვალუტის კონვერტაციის შედეგად

	2019 წ	2018 წ
დადებითი საკუროსო სხვაობა	14558	19622
უარყოფითი საკუროსო სხვაობა	14511	14189
კონვერტაციით მიღებული მოგება/(ზარალი)	47	5433

18. მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ახალი რეგულაციის თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით.

2018 წელს დივიდენდი არ განაწილებულა. 2019 წელს კომპანიამ გაანაწილა 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან დივიდენდი. მოგების გადასახადი დაექვემდებარა ჩათვლას. საანგარიშო პერიოდში მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაცია, კომპანიას მხოლოდ დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯის გამო წარმოეშვა.

19. ფინანსური რისკები

საკრედიტო რისკი: საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ, მეორე მხარის მიმართ, ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი: ლიკვიდურობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომელიც ეხება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდურობის რისკი არსებობს მაშინ როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა. კომპანიას აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. კომპანია სარგებლობს საბანკო დაწესებულების მაღალი ნდობით. მის განკარგულებაშია საკრედიტო ხაზი, რომელის გამოყენებისას, უმოკლეს ვადაში შეძლებს ვადადამდგარ ვალდებულების დაფარვას, თუმცა იშვიათად იყენებს მას.

სავალუტო რისკი: უცხოური ვალუტის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება, შეიცვლება საკუროსო სხვაობის განაკვეთების ცვლილებების გამო. კომპანიის მოგება ზარალზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე გარკვეულწილად გავლენას ახდენს სავალუტო გაცვლით კურსზე მომხდარი ცვლილებები.

საბაზრო რისკი: საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი რომელიც ხორციელდება მენეჯმენტის მიერ .

საპროცენტო რისკი: გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიას არ გააჩნია ცვალებადპროცენტიანი სესხები, მიმდინარე პერიოდში მას არ გააჩნია საპროცენტო რისკი.

კომპანიაზე რისკების გავლენა გადაიხედება რეგულარულად მენეჯმენტის მიერ საბაზრო მდგომარეობის და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების განხორციელებისას.

20. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია სასამართლო დავები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს კომპანიისთვის მატერიალური ზიანის წარმოქმნა. შესაბამისად კომპანიის მენეჯმენტს სასამართლო დავებთან დაკავშირებით ანარიცხი არ შეუქმნია.

21. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისიდან, მსოფლიო მასშტაბით გავრცელდა ახალი კორონავირუსი (ე.წ. COVID-19) და 2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ ვირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ გარემოების გამო, 2020 წლის 21 მარტს საქართველოში გამოცხადდა ერთთვიანი საგანგებო მდგომარეობა. ვითარების შედეგად, კომპანია გარკვეული გამოწვევების წინაშე აღმოჩნდა, თუმცა კომპანიამ მალევე აღადგინა საქმიანობა საგანგებო მდგომარეობის დასრულების შემდგომ.

აღნიშნული მოვლენების შედეგად, 2020 წელს კომპანიას დროებით შეჩერებული ჰქონდა საოპერაციო საქმიანობა და მენეჯმენტის გაანგარიშებით აღნიშნულ პერიოდში კომპანიას შეუმცირდა შემოსავალი 1 900 000 ლარით. კომპანია თვლის, რომ მიუხედავად აღნიშნული ნეგატიური ფაქტორისა მას აქვს ყველა ის რესურსი, რომელიც აუცილებელია, რომ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

გარდა ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონია სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.